სახალხო განათლება+

● № 1 (4498) ● 1 ოქტომბერი ● 2014 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

უფალო, მოგვმადლე მე ნიჭი იმგვარად თქმისა,
რომ არგოს ჩემს მსმენელს, ხოლო მას_
გულისყური, რომ უქმად არ დაშვრეს ენა ჩემი

ბედნიერი იყოს 2014-2015 სასწავლო წელი!

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა – გილოცავთ!

სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა

იმედი და ხალისი შემოიცვანა

ახალი ხელმძღვანელის მოსვლას ორმაგი განცდა ახლავს. პედაგოგთა ემოციები იმედიანიც არის და დაეჭვებულიც, „ვაი, თუ!..“ დირექტორის ფიქრები კი – ილიასეულია: „როგორ შევეყრები მე ჩემს სკოლას... შევძლებ კი...“

თბილისის 159-ე საჯარო სკოლაში ეს პრობლემა მოხსნილია, რადგანაც ადრე აქ ნამოღვაწარი პედაგოგი გამოაგზავნეს ხელმძღვანელად.

თამილა გვარამაძე სამტრედიის მე-14 საჯარო სკოლისა და თბილისის დედაუნივერსიტეტის აღზრდილი შესანიშნავი ფილოლოგია. მისი პედაგოგიური დებიუტი ამ სკოლაში შედგა.

შაბათს მსოფლიო ეკოლოგიისა და დასუფთავების დღის აღსანიშნავი აქცია ტარდებოდა. ახალი დირექტორი პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად ცოცხით ხელში ტრიალებდა. ეს იმ აქციას არ ჰგავდა, რომელზეც იტყვიან ხოლმე, ახალი ცოცხი კარგად გვისო.

ენერგიული დასაწყისი ნახევარ გამარჯვებას უდრისო. ახალბედა დირექტორს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში მოუწევს დიდი ძალისხმევა, თორემ, როგორც იტყვიან, პედაგოგიური კადრების კუთხით თავი ქუდში აქვს. ერთგულად უდგანან მას მხარში გამოცდილი მოადგილე **ლია ძნელაძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **თამარ ჯიბღაშვილი**, ძლიერი პედაგოგები. გამორჩეულთა გამორჩევა გამიჭირდება. თუ დავიწყე, მაშინ ყველას სია უნდა ჩამოვწერო.

სკოლაში ბევრი სიახლე ინერგება და ფრთებს ისხამს. სწავლებაში შემოვიდა ახალი სპეციალური საგანი, რომლის დანიშნულებაა მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარება და პროფორიენტაცია. ამ საგანს გაუძღვება მეტად მონდომებული, საქმის მცოდნე სპეციალისტი, დედაუნივერსიტეტის აღზრდილი **ქეთევან გრიგალაშვილი**. მასზე დიდ იმედებს ამყარებს დირექტორი. წელს ოთხი პირველი კლასი მიიღეს.

ყველას სჯერა, ახალი დირექტორი პედაგოგებთან შეხმატკბილებული მუშაობით დიდ წარმატებებს მიაღწევს და სახელს მოიხვეჭს.

„აჰა, დიდების და სახელთქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი“, 159ე საჯარო სკოლელებო!

ბორის ხარებავა

„მასხლოს ანრეველოდ სასწავლოებელში“...

პირველკლასელებს

დედა ენა, – სიბრძნის წიგნი
ბევრ სიკეთეს გპირდება.
მას ყოველთვის დედასავით
მოფერება სჭირდება.
შესწევს ძალა წაგიკიდოს
სიყვარულის ალმური
და წვეთ-წვეთად ჩაგაწვეთოს
სიტკბო შენი მამულის.
დედაენა – შვების წყარო
წარსულს ახლით ამთელებს
ამ განძს თუ არ გაუფრთხილდი,
ისე ვერ იქართველებ.

ტარიელ მუმლაძე

პირველი მასწავლებელი, პირველი სიხარული, პირველი გაკვეთილი... აი, პირველკლასელთა ემოციების საფუძველი.

წელს ხუთი I კლასი მივიღეთ, – სიამოვნებით გვიპასუხა თბილისის 142-ე საჯარო სკოლის დირექტორმა შორენა ცნობილაძემ. ამათგან, რომელიმე კალსში გაკვეთილის ფირზე აღბეჭდვა რომ ვთხოვეთ, დიდხანს იფიქრა. არჩევანი I^ კლასზე შეჩერდა, რომლის აღმზრდელი და დამრიგებელია ღვაწლმოსილი პედაგოგი ციალა გელაშვილი. იგი ამ სკოლაში 35 წელია დედაენის, მამულის და მოყვასის სიყვარულით ზრდის საქართველოს ხვალინდელ დღეს.

ციალა მასწავლებელი ამ პაწიებთან პირველ გაკვეთილზე სიხარულის ემოციებით ისე იყო შეპყრობილი, როგორც 35 წლის წინათ, ხოლო ექვსი წლის ცეროდენები პირველ მასწავლებელს გაცისკროვნებული თვალებით შესციცინებდნენ.

ჯემალ კასრაძის ფოტო

სარედაქციო განაცხადი

ჩვენ ისევ მოვედით

მასწავლებლების დამკვალიანებელმა, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ იდეებზე დაფუძნებულმა გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ თავისი **85 წლის** იუბილე ვერ აღნიშნა. ფინანსური სიდუხჭირის გამო იგი გაჩერებული იყო.

გასული საუკუნის მიწურულს განათლების სამინისტროს ეგიდით, „განათლების“ სახელწოდებით გამომავალი ეს გაზეთი უპატრონოდ დარჩა: გაუგებარი მიზეზით სამინისტრომ ნაუცბათევად ტენდერი გამოაცხადა, გამოგვეყო და საკუთარი გაზეთი დააარსა. „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგნით განაწირსა“.

მაშინდელი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის **რომან მიმინოშვილის**, ასევე მისი მოადგილის, **დიდი ქართველი პედაგოგის ლევან ჩიქვანაიას** ძალისხმევით, მაინც ფინანსური შეჭირვების პირობებში, ენთუზიაზმის ხარჯზე გამოსვლა არ შეგვიწყვეტია, რადგანაც ჩვენს მასწავლებლობას ჰაერივით სჭირდებოდა „სახალხო განათლება“. არც, ამ საუკუნეში შენელებულა გაზეთის ფინანსური „მოხრჩობის“ მცდელობა. ერთმა პრეზიდენტმა, რომელიც იძახდა, ქართულ გაზეთებს საერთოდ არ ვკითხულობო, გამომცემლობა „სამშობლო“ დაარბია, ბუდე მოგვიშალა და სხვა რედაქციებთან ერთად კინწისკვრით გამოგვყარა. მას მიბაძა ძალოვნებიდან მოსულმა ერთმა მინისტრმა, რომელმაც ლამის პოლიციურ რეჟიმში გადაიყვანა განათლების სისტემა, ჟურნალისტებს სკოლებში შესვლა, ხოლო დირექტორებს ჩვენთან ურთიერთობა აუკრძალა.

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ ვითარება თანდათან სწორდება, მაგრამ ჯერ კიდევ განათლების მუშაკთა დიდი არმია ვერ გრძნობს **პედაგოგიური პრესის არსებობას**. ერთი გამომავალი კინკილა პედაგოგიური გაზეთი სრულყოფილად ვერ შეძლებს განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების გაშუქებას.

საბედნიეროდ, განათლების სამინისტრო ორი წელია თავგამოდებით ცდილობს სისტემაში დაგროვილი პრობლემების მოგვარებას. ბევრი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ, გარდა საპატრიარქოს ტელეარხ „**ერთსულოვნებისა**“ და გაზეთ „**საქართველოს რესპუბლიკისა**“ პოზიტიურს პრესა და ტელევიზია იშვიათად ასახავს, უფრო ნეგატიური პასაჟებით არიან დაკავებულნი.

ასე რომ, **სამინისტროს მხარდამჭერი პრესა უთუოდ სჭირდება**. ჩვენ მზად ვართ პირუთვნელად, ცოცხლად ავსახოთ ეს პროცესები, ჩვენდა გასახარად, განათლების სამინისტრომ ჩვენკენ მოიხედა, გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის და მხარში ამოდგომის სურვილი, რაც დიდ იმედებს გვისახავს, **ვთხოვთ მათ, შეძლებისდაგვარად, რაღაც ფორმით ფინანსურადაც შეგვეშველოს.**

მასწავლებლებო, განათლების დარგის მესვეურებო, იყავით აქტიური მკითხველები, გამოიწერეთ ჩვენი გაზეთი, თქვენი თანამშრომლობით უფრო საინტერესო გახადეთ იგი!

ჩვენ კვლავაც ვიქნებით თქვენი უღალატო მეგზური და მეგობარი.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

სიახლეთა სამოთავლო კონჯურები

ახალი სასწავლო წლისთვის ბევრი მაღალ შედეგებზე გათვლილი სიახლე შემოგვთავაზა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია საჯარო სკოლების უფრო კვალიფიციური, სერთიფიცირებული და კონკურსგავლილი დირექტორებით დაკომპლექტება. ასევე: ახალი შემეცნებით-აღმზრდელობითი, საპროფორიენტაციო სპეცსაგნის შემოღება, კლასის ხელმძღვანელის საქმიანობის გამრავალფეროვნება, მეორე უცხოური ენის სწავლების მეშვიდე კლასიდან მეხუთეში გადმოტანა და სხვა. ყველაფერი ეს სწავლა-აღზრდის ეფექტიანობის ზრდას, განათლების ხარისხის ამაღლებას უთუოდ შეუწყობს ხელს. გასული წლის ყველაზე თვალსაჩინო გასახარელი სიახლე-მოვლენა იყო ახალი მთავრობის ზრუნვა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, მათი უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, რაც ამ ახალ სასწავლო წელსაც უფრო დახვეწილი ფორმით განხორციელდა. ასევე, წინა წლებში პედაგოგებს საგრძნობლად მოემატათ ხელფასი. ახლო მომავალში დაგეგმილია მისი ეტაპობრივი ზრდა. ახალი სასწავლო წლის ამ ჩინებულ სტარტზე გვესაუბრებიან თბილისის საჯარო სკოლის დირექტორები:

ნანა სოლოღაშვილი (89-ე საჯარო სკოლა)

კარგა ხანია დიდი წარმატებით უძღვება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ამ სკოლაში. გარდა ამისა, თბილისის 117-ე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილი პედაგოგი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია. წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს დედაუნივერსიტეტში, ამჟამად, საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორია. ას პილოტირებულთა შორისაა ეს სკოლა, სადაც სამედიცინო ოთახი გაიხსნა.

– სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული შეხვდა ახალ სასწავლო წელს. ოთხი პირველი კლასი გავხსენით. მხარში დაუზარებლად მიდგანან შრომისმოყვარე, გამოცდილი პედაგოგები, ენერგიული შემოქმედი მოადგილე **ლალი ტოკლიკიშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მანანა წითაძე**. მანდატურები დღითიდღე სრულყოფენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ავტორიტეტით სარგებლობენ: **თამარ ხუციშვილი, ნოდარ ტოხვაძე, თინათინ დიაკონიძე**. ისინი ძალიან გვეხმარებიან სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვაში. უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენა იყო მთავრობის, განათლების სამინისტროს ძალისხმევა – მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების, კომპიუტერებისა და სხვა სასწავლო ნივთების უფასოდ გადაცემა, რაც შარშან და წელს წარმატებით განხორციელდა. ასიათასობით მოსწავლე და მათი მშობლები ამით გახარებული და მადლიერნი დარჩნენ. ყველა პირველკლასელს და მათ მასწავლებელს საჩუქრად გადაეცათ კომპიუტერები, რვეულები და სხვა ნივთები. საუკეთესო, კეთილმოწყობილი სამედიცინო ოთახი გაიხსნა, სადაც ენთუზიაზმით მუშაობს გამოცდილი ექიმი **ნანული ტეტუნაშვილი**. წელს მე-5 კლასიდან შევუდექით მეორე უცხოური ენის – რუსულის სწავლებას. სკოლა კათედრული სისტემით მუშაობს. გახსნილი გვაქვს სხვადასხვა სახის შემეცნებითი თუ მხატვრული წრეები. შარშან 21 ახალგაზრდამ დაამთავრა 12 კლასი. დღეს ყველა სტუდენტია. გვყავს სერტიფიცირებული 14 პედაგოგი. მხარს ვუჭერ პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ინიციატივას სერტიფიცირების, როგორც მასწავლებლის პროფესიული დაოსტატების არსებული წესის უფრო მოქნილი ფორმით შეცვლის შესახებ. განათლების სამინისტროს მუშაობა ამ კუთხით მიმართული იქნება პედაგოგთა კეთილდღეობისკენ.

ნანა ჯუღელი (149-ე საჯარო სკოლა)

საგანმანათლებლო სივრცეში ღვაწლმოსილი, დამსახურებული პედაგოგია. მისი მონაწილეობით ბევრი რეფორმატორული პროექტი განხორციელდა. დიდხანს იყო მე-12 საჯარო სკოლის დირექტორი. კონკურსში გაიმარჯვა და ახლა მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას 149-ე სკოლას ახმარს. სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული.

ახალ სასწავლო წელს მომზადებული შევხვდით. გავხსენით 4 პირველი კლასი, ბავშვებს და მათ პედაგოგებს დაურიგდათ უფასოდ სახელმძღვანელოები და ნოუთბუქი. გარდა სამინისტროსგან შემოთავაზებულისა, კიდევ ბევრი სიახლე გვაქვს დაგეგმილი. მისი განხორციელების გარანტიას ძლიერი პედაგოგები გვაძლევენ. შემოქმედებითად გვიდგანან მხარში მოადგილეები: **მაგული ღვინჯილია** (სასწავლო დარგში) და **თინათინ გოგრიჭიანი** (აღმზრდელობით დარგში), ასევე, მეტად ენერგიულია სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, გამოცდილი პედაგოგი, ათასლარიანი სერთიფიკატის მფლობელი **ზურაბ მარეხაშვილი**.

გასული სასწავლო წელი უხვმოსავლიანი იყო. 45 მოსწავლემ დაამთავრა 12 კლასი. ოქროს მედლის კავალერი გახდა სოფო გრიგოლიანცი. ყველა

ეფექტიანობის სასწავლო წელი

კურსდამთავრებულმა გვასახელა. მათი 76 % სტუდენტი გახდა, 100 %-იანი გრანტის მფლობელია **მაკა ედილაშვილი**, რომელიც ილიას უნივერსიტეტში სწავლობს. ექიმის კაბინეტი არ გახსნილა, რადგანაც წელს პილოტირებულ სკოლათა სიაში ვერ მოვხდვით. კეთილმოწყობილი სასკოლო ბუფეტი კი ფუნქციონირებს. ორგანიზებულად დარიგდა დიდი საჩუქარი – უფასო სახელმძღვანელოები. ბევრი სერთიფიცირებული პედაგოგი ეფექტიანად უძღვება სასწავლო-აღმზრდელობით პორცესს. მანდატურების: **გიორგი დათაშვილისა და ელზა გიგაურის** უნარიანი მუშაობით კმაყოფილი ვართ. კიდევ ბევრი სიახლე გვაქვს დანერგილი, მაგრამ ნათქვამია: წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო. სასწავლო წლის ბოლომდე შევეცდებით უთვალავი წიწილა გვყავდეს. ჩვენი პედაგოგები ამისთვის ძალღონეს არ დაიშურებენ.

გიორგი გარსიძე (154-ე საჯარო სკოლა)

ახალგაზრდა დირექტორს პედაგოგიური წრთობა უკვე მიღებული აქვს. მესამე წელია ამ სკოლაში იღვწის და უნარიანი ხელმძღვანელის სახელი დაიმკვიდრა. იგი 179-ე სკოლისა და თავის დროზე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილია. წარჩინებით დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი. ახალგაზრდა დირექტორი უყვართ მოსწავლეებს და პედაგოგებს.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. ძლიერ პედაგოგებთან ერთად საერთო წარმატებისთვის შემოქმედებითად იბრძვიან დირექტორის მოადგილე, **ხათუნა უზნაძე**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ირმა კეკელიძე** და სხვები. გარდა განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულისა, ჩვენი ინიციატივით კიდევ ბევრი სიახლე ინერგება, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მოსწავლეთა შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. წელს 3 პირველი კლასი მივიღეთ. უფასოდ სახელმძღვანელოები და კომპიუტერები ორგანიზებულად დარიგდა. პირველკლასელთა ოთახები მოვაწესრიგეთ, კიდევ სხვა სახის რემონტი ჩავატარეთ. ასე რომ, ორგანიზებულად დავიწყეთ ახალი სასწავლო წელი.

ამჟამად 21 სერთიფიცირებული პედაგოგი გვყავს, მათ შორისაა ენერგიული, გამოცდილი მენტორი მასწავლებელი **ნათელა გოჩაშვილი**, რომელიც დიდი ენთუზიაზმით მუშაობს. მანდატურები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, მხარში გვიდგანან.

ყოველივე ზემოთქმული წარმატებული სტარტის აღების საშუალებას გვაძლევს და ჩვენი გამარჯვების საწინდარია.

ესაუბრა **ბორის მიშველაძე**

ვიაროთ წარმატებების გზით

წარსული მომავლისათვის

შუა რიგში მარცხნიდან პირველი **თამარ სანიკიძე**

ახალი შემართებითა და გამოკვეთილი მიზნებით დაიწყო კიდევ ერთი 2014-2015 სასწავლო წელი. საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნარიანად მართვაზე.

სიახლეებთან დაკავშირებით სასაუბროდ ვეწვიეთ თბილისის მე-8 საჯარო სკოლას, სადაც სწავლობდა და საშუალო განათლება მიიღო განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**. შევხდვით მის ყოფილ პედაგოგებს, სკოლის დღევანდელ დირექტორს.

მეტად საინტერესო გამოდგა სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის, თამარ სანიკიძის ყოფილი კლასის ხელმძღვანელის **დარეჯან ჯოჯუას** საუბარი. მან გაზეთში გამოსაქვეყნებლად ტექსტი სათაურით „ნეტავი ბევრი გაზარდოს„... გადმოგვცა. გთავაზობთ მას.

„ნეტავი ბევრი გაზარდოს“...

დედაქალაქში საჯარო სკოლებს შორის ერთერთი გამორჩეულია მე-8 საჯარო სკოლა, რომელიც ჯერ კიდევ **აკაკი კივილაძის** სკოლის სახელით არის ცნობილი.

ოცდათორმეტი წელი მართავდა ბატონი აკაკი ამ სკოლას და ვინ მოთვლის იმ სასიკეთო საქმეებს, იმ ღვაწლს, რაც მუხლჩაუხრელი შრომითა და უძილო ღამეებით გაუკეთებია.

თბილისის მე-8 საჯარო სკოლა ცნობილია უძველესი ტრადიციებით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალი ხარისხით, პედაგოგიური კადრებითა და ნიჭიერი მოსწავლეების პოტენციალით.

„პატარა სოფელს“ სახელი მაშინ გაუვარდება, როცა იქ დიდი კაცი დაიბადება“, წერდა მიხეილ ჯავახიშვილი. ასეა სკოლაც, როდესაც იქ აღიზრდებიან ისეთი ბავშვები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ხდებიან წარმატებულნი, სახელოვანნი და გამორჩეულნი. ბევრი სასახელო ადამიანი აღუზრდია მე-8 საჯარო სკოლას და დღეს, რაოდენ სასიხარულოა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩვენი სკოლის აღზრდილი **თამარ სანიკიძე** უდგას სათავეში.

„ნეტავი ბევრი გაზარდოს, შენისთანები დედამ“ – დიდი ვაჟას ეს სტრიქონები ამეკვიატა, თამარ სანიკიძის მოსწავლეობის ხანას თვალი რომ გადავავლე.

სკოლაში მოსვლის პირველი დღიდანვე შესამჩნევი და გამორჩეული გახდა. მისთვის ზერელე ცოდნა არ არსებობდა, ყველა საგანს ერთნაირი ინტერესით ეუფლებოდა; იყო სხარტი გონების „პატარა კრიტიკოსი“, ყველა სასკოლო თუ საკლასო ღონისძიების სულისჩამდგმელი...

ამაყია დღეს თბილისის მე-8 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი!

გიხაროდეს მამულო! ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდები, თამარის მსგავსები, ვისითაც ყველა მშობელი, მასწავლებელი, სკოლა და სრულიად საქართველო იამაყებს!

დარეჯან ჯოჯუა,
თბილისის მე-8 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი, თამარ სანიკიძის ყოფილი კლასის ხელმძღვანელი.

გავესაუბრეთ მე-8 საჯარო სკოლის ახლად დანიშნულ დირექტორს, რამდენიმე წლის წინათ ამავე სკოლის პედაგოგს ქალბატონ **ნათია მაისურაძეს**:

ქალბატონო ნათია, იქნებ ჩამოგვითვალოთ, რა პოზიტიურ ძვრებს ხედავთ საგანმანათლებლო სისტემაში?

ეს გახლავთ: პედაგოგთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების (გადამზადების) მოწესრიგება. ამ პროცესის სრულყოფილებისაკენ მიმართული საქმიანობა;

მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის სფეროში გაწეული ღონისძიებები;

სამინისტროსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მიერ კოორდინაციული მუშაობის წარმართვა;

– ღონისძიებანი უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შემუშავების კუთხით;

ძირითადად რა ნაკლოვანებები შეინიშნება საგანმანათლებლო სტრუქტურაში?

ეს გახლავთ პრობლემები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, სასწავლო დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ეზოგარემოს ტექნიკურ და ესთეტიკურ საქმეში არსებული მდგომარეობის სათანადოდ გაუმჯობესებაში;

ასევე გადასახედი და მოსაწესრიგებელია მოსწავლის ცოდნის დაუფლებისა და მორალურ-ესთეტიკური კუთხით სათანადო მოტივაციის უზრუნველყოფის ფორმები და მეთოდები.

დიდ მადლობას მოგახსენებთ,
ქალბატონო **ნათია.**
საუბარი ჩაიწერა **რომან მოსეშვილმა**

მზრდელი ყრმათა

გულის სიტბოს უნაწილებს

გულს უძღვნის ბავშვებს, – ამბობდა დიდი პედაგოგი სუხომლინსკი. ასეთი აღმზრდელია თბილისის 69-ე სკოლის IV კლასის მასწავლებელი **დალი თათეშვილი**.

ასე ფიქრობენ მისი კოლეგები, მშობლები, აღსაზრდელები. მართლაც, დამსახურებული პედაგოგი გულის სითბოს უნაწილებს თავის მოსწავლეებს ბრწყინვალე გაკვეთილებით, ტკბილი საუბრით, სიყვარულით, ალერსიანი მოპყრობით. ყველაფერი ეს ხომ დიდი პედაგოგის თვისებაა, რითაც შემკულია ქალბატონი.

გორის პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილი, აგერ უკვე 30 წელია სულ პატარების სწავლააღზრდის საქმეს ემსახურება, 27 წელია ამ სკოლაში მოღვაწეობს.

ასეთი ბიოგრაფიის მქონე პედაგოგის ხელში რომელი მშობელი არ ინატრებდა თავისი პატარის აღზრდას?

დიახ, ბავშვებს ზრდის იაკობის „დედა ენით“, მამულისა და მოყვასის სიყვარულით. ზედგამოჭრილია მისთვის აღსაზრდელთა გულისთქმა, რომელიც ერთი პოეტის სტრიქონებშია გაჟღერებული: „შეგვასწავლა ანი, ბანი, შეგვაყვარა დედაენა, თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს, რომ თამამად შევძლოთ ფრენა”.

დალი თათეშვილს მშობლები და აღსაზრდელები მასწავლებლის დღეს ულოცავენ.

ცხადია, ასეთ პედაგოგებს მთავრობისა და საზოგადოების მხრიდან მეტი დაფასება სჭირდებათ. მალე მოსულიყოს ჟამი, როცა ერი და ბერი უფრო ღირსეულად დააფასებს მასწავლებელს!

დემეტრე ტყემალაძე

გამარჯვებული

ზაზა ლომოური (მე-5-ე საჯარო სკოლის დირექტორი)

იმ გამოცდილ დირექტორთა შორისაა, ვინც ზედიზედ გაიმარჯვა კონკურსში. უმუშავია სხვადასხვა სკოლის ხელმძღვანელად, აქ კი შვიდი წელია მოსწავლე ახალგაზრდობას და პედაგოგიურ კოლექტივს უძღვება. ზედაპირული დათვალიერებითაც კი მიხვდებით, რომ სკოლა სანიმუშოდ მოემზადა ახალი სასწავლო წლისთვის. როგორც იტყვიან, ყველაფერი „აჟურშია”.

– ორი პირველი კლასი გავხსენით. ყველა პაწიას უფასოდ დავურიგეთ სახელმძღვანელოები და „ბუკი”. მათი მასწავლებლებიც დავასაჩუქრეთ. მთელ სკოლაში უფასო სახელმძღვანელოებით ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია. ყველა მშობელი გახარებულია, მადლობას უხდიან მთავრობას, განათლების სამინისტროს. გვყავს 12 სერთიფიცირებული პედაგოგი, მასწავლებელთა 40%-ზე მეტი. შარშან 38 ახალგაზრდამ დაამთავრა სკოლა. **ქეთევან ტომარაძემ** ოქროს მედალი დაისაკუთრა. ყველა სტუდენტია, ბევრი 100%-იანი გრანტის მფლობელია.

ენერგიულად დავიწყეთ სასწავლო წელი. პედაგოგებთან ერთად დირექციას მხარში უდგანან დირექტორის მოადგილე **ინგა ბერძენიშვილი** და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მშობელი **ნინო დალაქიშვილი.** გვაქვს კარგი სასკოლო ბუფეტი. საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ შრომისა და მოსწავლეების მოყვარე მანდატურებს: **ფარნავაზ ბაჯაძეს და ნონა ახალკაცს**. მათ პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ჰარმონიული ურთიერთობა აქვთ. ერთი სიტყვით, მაღალ შედეგებზე ვართ ორიენტირებულნი.

ბორის ხარებავა

ავაღორძინოთ და განვავითაროთ პროფესიული განათლება

პროფესიული განათლება წარმოადგენს საქართველოს განათლების ერთიანი ეროვნული სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

დღეს, ახალი გეგმის თანახმად, აუცილებლობას წარმოადგენს პროფესიული განათლების ორიენტირება შრომის ბაზარზე. საჭიროა შედარებით უფრო დახვეწილი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, რომლებიც გაითვალისწინებენ დამსაქმებლის მოთხოვნებსა და საერთაშორისო გამოცდილებას.

როგორც სხვა საგანმანათლებლო სტრუქტურებში, ასევე პროფესიულ სასწავლებლებშიც არაერთი ღონისძიება ჩატარდა მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად დასაწყებად.

თუ რა ვითარებაა სადღეისოდ პროფგანათლების სისტემაში, ამ საკითხზე სასაუბროდ შევხვდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს **თამარ ქიტიაშვილს**.

– ქალბატონო თამარ, როგორ შეხვდა ახალ სასწავლო წელს ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემა?

– გარკვეული ქმედითი ღონისძიებები ჩატარდა ამ უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში სისტემაში შემავალი სასწავლო დაწესებულებების საქმიანობისა და მისი შედეგიანობის განმტკიცების მიზნით:

- გაიზარდა პროფესიული სასწავლებლის მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა ხელფასები საშუალოდ 35-40 %-ით.
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმა არსებული პროფესიული სასწავლებლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და შეფასდა ახალი სასწავლებლების განვითარების საჭიროება.
- პროფესიულ განათლებაში დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობა დაიწყეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა. შეიქმნა შესაბამისი სასწავლო გარემო. პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მსურველ პირს აფასებს მულტიდისციპლინური გუნდი, ადგენს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და იგეგმება მათთვის პროფესიის მოსინჯვის პროცედურა. შედეგად, მიმდინარე წელს პროფესიულ განათლებაში ასამდე პირი ჩაერთო.
- პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდა მსჯავრდებულებისა და პრობაციონერებისათვის, შედეგად, 2014 წელს პროფესიულ განათლებაში 56 მსჯავრდებული ჩაერთო.
- პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა სარეგისტრაციო პუნქტების რაოდენობა სამიდან ასამდე გაიზარდა. გაიზარდა აპლიკანტთა რაოდენობაც, მოიხსნა ზოგადი უნარების გამოცდების სახით არსებული ბარიერი და შემუშავდა პროფესიულ უნარებზე მორგებული, გამჭვირვალე და სამართლიანი ჩარიცხვის წესი. დამსაქმებლის ჩართულობით, Dacum მეთოდოლოგიის გამოყენებით გადაიხედა 70-ზე მეტი პროფესიული სტანდარტი, მიმდინარეობს კიდევ ასამდე სტანდარტის გადამუშავება.
- პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, ევროკავშირის დახმარებით, შემუშავდა და დამტკიცდა პროფესიული განათლების განვითარების 2013-2020 წლების სტრატეგია.
- შემუშავდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის მოდელი და დაიწყო მისის პილოტირება.
- შემუშავდა და დამტკიცდა პროფესიული ტესტირების ახალი მოდელი, რომელიც ემსახურება პროფესიული განათლების მიღების მსურველთა უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენას, მათ მიერ შერჩეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

- აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ჩართულობის დამსაქმებელთა მასტიმულირებელი რეკომენდაციები.
- წელიწადში ორჯერ იმართება პროფესიული განათლების ფესტივალი – „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“ – პროექტი კერძო სექტორის მხარდაჭერით ხორციელდება და ემსახურება პროფესიული განათლების სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

2014 წელს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად, მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა: აღნიშნული სტრატეგიის მხარდაჭერისა და პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირების მიზნით, ევროკავშირმა საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარების სახით, 27 მლნ. ევრო გამოყო. შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული პირველი ტრანშის თანხა – 3 მლნ. ევრო უახლოეს მომავალში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება.

შარშანდელთან შედარებით, 2014 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი გაორმაგდა (37 მლნ. 318 ათასი ლარი). შესაბამისად, რეფორმის ყველა მიმართულებით ინტენსიური ღონისძიებები მიმდინარეობს.

პროფესიულ პროგრამებზე 2013 წლის შემოდგომით 8500- მდე, ხოლო 2014 წლის საგაზაფხულო მიღებისას (აპრილი-მაისი) 3000-მდე პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა სრული სახელმწიფო დაფინანსებით. 2014 წლის საშემოდგომო მიღებისთვის დარეგისტრირდა დაახ. 11 000 აპლიკანტი.

სტრუქტურული და ფუნქციური გაუმჯობესების მიზნით შეიცვალა კოლეჯების საშტატო განრიგები, რომლებიც გაცილებით ეფექტურად პასუხობს პროფესიული განათლების წინაშე დღეს არსებულ გამოწვევებს.

სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს სისტემაში დამსაქმებელთა ჩართულობაზე, რასაც კერძო სექტორის მხრიდან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. კომპანიები წარჩინებულ სტუდენტებს 150 ლარის ოდენობით სტიპენდიებით უზრუნველყოფენ, სწავლის დასრულების შემდეგ კი, შემდგომი დასაქმების პერსპექტივით, 1-3 თვიან პრაქტიკა/სტაჟირებას სთავაზობენ.

სრულდება მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციაზე. მიმდინარე წელს მაღალტექნოლოგიურ საწარმოებში ტრენინგს პროფესიული სასწავლებლის მინიმუმ 40 მასწავლებელი გაივლის.

არსებული სასწავლო ინსტიტუციური გაძლიერებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით, სარეაბილიტაციო-მოსამზადებელი სამუშაოები 10 პროფესიულ კოლეჯში მიმდინარეობს. მუშავდება ახალი პროფესიული სასწავლებლების განვითარების გეგმა.

- მიმდინარეობს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის 16 მილიონი აშშ დოლარის სტრატეგიული ინვესტირება პროფესიული განათლებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის;
- გაძლიერდა დამსაქმებლის ჩართულობა პროფესიულ-განათლებაში და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მსხვილ დამსაქმებლებთან – ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს დამსაქმებლის ჩართულობას პროფესიული სტანდარტების გადახედვის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკულ კომპონენტთა ათვისების მხარდაჭერას საწარმოო ბაზაზე და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას;
- ამოქმედდა 5 წლიანი პროგრამა „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლების და გადამზადების საკონსულტაციო მომსახურების სისტემის მოდერნიზაცია“ – პროგრამა მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაში საკონსულტაციო სერვისის დანერგვისა და პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით;
- ესტონური პროფესიული განათლების სისტემის გაზიარების მიზნით მიმდინარეობს პროგრამა „პროფესიული განათლების ხელშეწყობა საქართველოში“ – ფონდი „INNOVE“-ს, ესტონეთის განათლების და კვლევების სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით იგეგმება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლის, პროფესიული განათლების სისტემაში არსებული ჩიხების აღმოფხვრისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხობრივი პარამეტრების განვითარების ხელშეწყობა.

– ქალბატონო თამარ, სულ რამდენი პროფესიულ-საგანმანათლებლო სასწავლებელია საქართველოში? მათ შორის რამდენია საჯარო და რამდენი კერძო?

– საჯარო სასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 34-ს, ხოლო კერძო სასწავლებლები კი სისტემაში 80-ზე მეტია.

– რით აიხსნება კერძო სასწავლებლების უაღრესად დიდი რაოდენობა საჯაროებთან შედარებით?

– სხვაგვარად რომ შევხედოთ, საჯარო დაწესებულებებს ერთობლივად ბევრად მეტი სტუდენტი უფიქსირდებათ, ვიდრე კერძო კოლეჯებს, ანუ კერძო კოლეჯები მცირე და მრავალრიცხოვანია, ხოლო საჯაროები კი, შედარებით მსხვილი.

– ქალბატონო თამარ, როგორც ცნობილია, ამჟამად ქვეყანაში მხოლოდ 10 ისეთი სასწავლებელია, სადაც სტუდენტი, რომელიც აქ ჩაირიცხა სკოლის 9 კლასის დამთავრების შემდეგ, პროფსასწავლებელს ამთავრებს საშუალო განათლების ატესტატისა და პროფესიული კოლეჯის დიპლომის მიღებით. გეცოდინებათ, ამ ორი ათეული წლის წინ, ყველა სასწავლებელი ასეთი ტიპის იყო, (დღეს, მაგალითად, ასეთ დაწესებულებაა შპს წმიდა დავით ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი თბილისში პოლიტკოვსკაიას №10-ში). რა აზრის ბრძანდებით აღნიშნულთან დაკავშირებით?

– ვფიქრობ, რომ ასეთი სასწავლებლის ფორმა და შინაარსი მისაღებია, თუმცა მიდგომა ალბათ შესწავლასა და განვითარებას საჭიროებს.

– ქალბატონო თამარ, რას იტყვით საქართველოს რკინიგზის საზოგადოებრივი კოლეჯის (თბილისში, დ.აღმაშენებლის №138) ათეული წლების განმავლობაში ფუნქციონირების შემდეგ ხსენებული შენობიდან ამ ორწლინახევრის წინ გამოძევების თაობაზე? ეს შენობა კი დღემდე ცარიელი და დაუტვირთავი გახლავთ.

ეს არის ის კოლეჯი, რომელმაც პირველმა მიიღო ავტორიზებული სასწავლებლის სტატუსი მთელ საქართველოში.

– ვფიქრობთ, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობასთან უნდა ვისაუბროთ ამ საკითხზე.

– დიდი მადლობა.

რომან მოსეშვილი

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო!..“

გამარჯობათ, 59-ე ბაგა-ბაღელებო!

მეცადინეობა

მეტად გაიხარეს ცეროდენებმა და მათმა მშობლებმა, როცა სასტიკად ცხელი ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნდნენ. უფრო ჩაწიკწიკებული და გაკოხტავებული დაუხვდათ მშობლიური ბაგა-ბაღი. შარშანაც დიდებული იყო ინფრასტრუქტურა, მაგრამ წელს იგი უფრო გაბრწყინებულიყო. კერძოდ, რაც არ უნდა იწვიმოს, ლაფის ნატამალი არ იქნება, ისე მოუპირკეთებიათ მთელი ეზო. ადრე ხომ გაწამებული იყვნენ დამლაგებლები იატაკების მოწმენდისგან. კიდევ ის დახვდათ სიახლე, რომ სამზარეულოს გვერდით კოხტა ბოსტნეულის საწყობი მიუშენდა. სამი წლის წინათ ვიყავით აქ და მაშინდელი ვითარება დღევანდელისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა. ასე იცის შრომითმა სიყოჩაღემ და თავდადებამ, ტკბილ ნაყოფს მოისხამს ხოლმე. ყოჩაღ, დირექტორო, **მზია ფარეიშვილო!** მადლობა თქვენ, პედაგოგ-აღმზრდელებო, ბაგა-ბაღის მუშაკებო, ასე რომ გაახარეთ მშობლების გული. მადლობა მთავრობას, მერიას. მათ ხომ ბევრ სიკეთესთან ერთად ბაღის ქირის გაუქმებით შვება მოუტანეს ასეულათასობით ოჯახს, საგრძნობლად გაუზარდეს ხელფასი აღმზრდელ-პედაგოგებს. დირექტორმა **მზია ფარეიშვილმა**, კითხვებზე პასუხი რომ ვთხოვე, მომიგო: გაგონილს დანახული სჯობს, აქეთ წამობრძანდით და... აკაკისა არ იყოს, ეს თვალები რას ნახავენ, სხვას უკეთეს სანახავსო. შინ და გარეთ ნამდვილი ზღაპრული სამყაროა. ყველგან სისუფთავე და აკურატულობა სუფევს. ყველაფერს ესთეტიკური იერი გადაჰკრავს. სამზარეულო გარეთაა, მაგრამ დერეფანში შემოაღწია მადის აღმძვრელი, ყუათიანი კერძების არომატმა. გემოვნებიანი მზარეულები ნაირა ეგრისელაშვილი და ნონა პაქსაშვილი ცეროდენებს სადილს უმზადებდნენ. პატარებს მოსწონთ აქაური კერძები, შინ დედისგან გაკეთებულს ურჩევნიათ. უნებურად ერთი პოეტი მშობლის ნათქვამი გამახსენდა: კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო.

კაბინეტში გამოცდილ მეთოდისტს გავესაუბრე, რომელსაც ახლა საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ჰქვია. **რუსუდან ბენდელიანმა** თავისი მუშაობა მოკლედ გამაცნო. იგი ხომ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის ზრუნავს.

ყველა ასაკობრივი ჯგუფი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განთავსებულია დგამავეჯით. გამოყოფილია აქტივობის ცენტრები ე. წ. „კერა".

ახალი სასწავლო წლისთვის ყველა აღმზრდელს თავისი პორტფოლიო (საჭირო, მეთოდური მასალა) მზად ჰქონდა. ისინი ბავშვებთან ერთად ინდივიდუალურ მუშაობასაც ეწევიან.

დირექტორმა გამოცდილი და ენერგიული მოადგილე **ნინო გვარაძე** გაგვაცნო. იქვე შრომისმოყვარე საქმის მწარმოებელ **თია ლურსმანაშვილს** შევეხმიანეთ.

ვსწავლობთ ხატვას

თქვენ გაიხარეთ, ცეროდენებო!

ჩემი თავი არ გამოგრჩეთო, – იხუმრა გვერდით მყოფმა სამეურნეო ნაწილის კოორდინატორმა **ბელა ბუხრაშვილმა**. ამ დროს აღმზრდელები თანაშემწეებთან ერთად თავიანთ ჯგუფებს დაჰფოფინებდნენ, პატარებს ამეცადინებდნენ, ავარჯიშებდნენ, ათამაშებდნენ. ტკბილმშობლიური ჰანგები ირხეოდა სამუსიკო დარბაზიდან. ესენი პატარების ესთეტიკური აღმზრდელები: **თამარ კალმახელიძე და ნინო თხინვალელი** იყვნენ. მათთან ერთად ქებით შეამკო დირექტორმა ცეკვის მასწავლებელი **ირაკლი ჩიტაია**. მათ გარეშე ხომ ვერცერთი მხატვრული ღონისძიება ვერ ჩაივლის.

ასეთია ჩვენი ეზო

სანამ სხვა თანამშრომლებს გაგაცნობთ, მოდით სამედიცინო ბლოკს ვეწვიოთ. აკურატულად არის იგი აღჭურვილი პირველადი დახმარების ყველა აპარატურა-მედიკამენტით. ბავშვების მეგობარი ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორების: **ლია ძმანაშვილისა** და **სესილი საბაშვილის** შიშით ბაგა-ბაღის ვერცერთი ინფექცია თუ „ღორის გრიპი" ვერ გაეკარება. ბრწყინავს, ელავს ბავშვთა ოთახები. ყველგან ფუსფუსია და ხალისი, მეცადინეობა ან თამაში. ყველგან თოჯინები იცინიან. არ გჯერათ?

კვება

აქეთ წამობრძანდით! – გვეპატიჟება დირექტორი. 4-5 წლიანთა ჯგუფს მივადექით, ცეროდენებს ამეცადინებდა პედაგოგი **დალი ბაჩუკაშვილი**. დედა, რა სისუფთავეა, რა სილამაზე! დგამ-ავეჯი – უმაღლესი სტანდარტებისა. აი, პაწიების პატარა სამზარეულო. სველი წერტილები – სრულ წესრიგშია. ყველას საკუთარი კარადა, პირსახოცი აქვს. იგივე ვითარებაა გვერდით მყოფ ბაგის ჯგუფში, ოღონდ აქ მეტი ჯაფა აწევთ აღმზრდელ **გულიკო ჯანეზაშვილს** და მის თანაშემწეს **ირინე ნოზაძეს**. მათ ხომ ელემენტარულ ქცევის წესებს უნდა მიაჩვიონ პაწიები, პირის დაბანას, ჭამას, კოვზის დაჭერასაც კი. აი, დიდებული საძინებელი ოთახი: სუფთა ლოგინები, სიმშვიდე, შესანიშნავი სამზარეულო, ტუალეტი – ყველაფერი ევროპული სტანდარტებითაა გაწყობილი.

გამოსაშვებ ჯგუფებში პატარების ხალისიანი ჟრიამულით, სიტყვა-პასუხით, რეკლამაციით, აღზრდილობით მოხიბლულმა, ბავშვობა ვინატრე: „ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“ ამათი შემყურე „სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება".

შარშანდელი გამოშვება უხვმოსავლიანი იყო. 120 სასკოლოდ კარგად მომზადებული ცეროდენა ზეიმით გააცილეს და სწავლისკენ გზა დაულოცეს აღმზრდელ-პედაგოგებმა: ლია კირვალიძემ, **ციცო ნანობაშვილმა, ლია სოზაშვილმა**. მომავალი წლისთვის უფრო მეტს გაუგზავნიან 154-ე და სხვა საჯარო სკოლებს: **დალი მანჯაიძე, შორენა თოთაძე, ციცო ნანობაშვილი და ნინო ახსიაშვილი**.

როგორც მშობლები არიან მადლიერი ბაგა-ბაღით, ასევე **მზია ფარეიშვილი** და მისი აღმზრდელ-პედაგოგები კმაყოფილი არიან: მშობელთა სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის **ლია ძმანაშვილის**, მდივნის **ნინო ომიაძის**, წვრების **მეგი ბერიანიძისა** და **ნინო ხაჩიძის** თანამშრომლობით, შეხმატკბილებული მუშაობით.

არ შემიძლია ქების სიტყვები დავიშურო ბრწყინვალე ლოგოპედის **დალი სამსონიას** მიმართ, რომელიც ბევრს მუშაობს პატარების მეტყველების კულტურის დასახვეწად. რამე ხომ არ გამომრჩა? ჰო, ცეროდენების სამყაროს სათამაშო და სპორტული ატრიბუტიკით კარგად გაწყობილი კოხტა ეზო აქვს, ხოლო ნაძვნარით დაბურულ სივრცეში სუფთა ჰაერი როცა შვებას მოგგვრის, ბაგა-ბაღი სანატორიუმად მოგეჩვენებათ.

მალე ზამთარი კარზე ძუ მგელივით მოგვიხტება, მაგრამ რამდენიც უნდა იღმუვლოს, 59-ე ბაგა-ბაღელებს ვერაფერს დააკლებს, ისეთი ცენტრალური გათბობა აქვთ. ყოჩაღ, **მზია ფარეიშვილო!** ყოჩაღ, ბაგა-ბაღის თანამშრომელნო! მარჯვენა დაგელოცოთ!

როცა კეთილი სურვილების თქმას დავაპირებ, მუხრანის პოეტური სტრიქონები მაგონდება, რომელსაც გულწრფელად მოგიძღვნით: „კიდევ უფრო ბევრი შვილი გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი კიდევ ერთხელ აამღერო... შეგიძლია ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს საქართველოვ!" სულ ბედნიერად იყავით, 59-ე ბაგა-ბაღელებო!

მაია მიშველაძე

მიყვარს ცეკვა-თამაში


რეფორმებს ვეხორციელებთ

ჩვენი სტუმარია თბილისის კერძო სკოლა "დეა"

ვერა ყურულაშვილი

განათლების სისტემის რეფორმა თითოეული ჩვენგანისაგან ჩართულობას, ყოველდღიურ მუშაობას და სიახლეების მიღების მზაობას მოითხოვს. სკოლა ისეთი ორგანიზმია, რომელშიც ცვლილებები ძალზე ფაქიზად, დიდი ყურადღებით უნდა შევიტანოთ. ამავე დროს ცვლილებები უნდა იყოს ბუნებრივი და დროში კარგად გათვლილი. არც ერთ მყისიერ ცვლილებას სკოლისათვის სიკეთე არ მოუტანია. დიდი იმედი გვაქვს დღევანდელი ხელისუფლების, რომ ისინი დაკვირვების, ანალიზის შემდეგ მოახდენენ სკოლის და საერთოდ განათლების სისტემაში ცვლილებების შეტანას.

მიმაჩნია, რომ სკოლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია აღზრდის თანამედროვე კონცეფციის შემუშავება. ეს იმდენად გლობალური საკითხია, რომ მას ადამიანთა ერთი ჯგუფი ვერ გადაწყვეტს, რაც არ უნდა მაღალი დონის პროფესიონალებით იყოს დაკომპლექტებული. კონცეფცია უნდა გახდეს ფართო საზოგადოების განხილვის საგანი, რადგან იგი მთელი საზოგადოების ინტერესებს მოიცავს. კონცეფცია უნდა შეიცავდეს მოთხოვნათა სისტემას იმ ამოცანების, აღზრდის შედეგების და პირობების, პროგრამებისა და სტრუქტურის მიმართ, რომლებიც უნდა შედიოდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საქმიანობაში, აღზრდის კონცეფციის შინაარსი შეიძლება იყოს შემდეგი:

1. **აღზრდის ეროვნული იდეების და თანამედროვე მსოფლიოს ღირებულებათა კავშირი;**
2. **მოსწავლეების აღზრდის მიზანი და ამოცანები;**
3. **საქართველოს მოქალაქის ზნეობრივი განვითარება;**
4. **აღზრდის და სწავლების ფასეულობები ზოგადი განათლების სისტემაში;**
5. **აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა სკოლაში;**
6. **აღმზრდელობითი მუშაობის მართვა და მონიტორინგი;**
7. **სკოლის და საზოგადოების ურთიერთობა მოსწავლეთა ზნეობრივ და სულიერ აღზრდაში;**
8. **მოსწავლეთა აღზრდის, სწავლების და სოციოლიზაციის პირობები.**

მოკლე თეზისები: -შესავალი- ძირითადი ზნეობრივი ფასეულობებია:

- **პიროვნების თავისუფლება;**
- **სამართლიანობა;**
- **ადამიანის სიცოცხლე;**
- **მშვიდობა;**
- **ოჯახური ტრადიციები;**
- **სიყვარული და ერთგულება;**
- **პატრიოტიზმი;**
- **სამშობლოს სიყვარული;**
- **ეროვნული ფასეულობები.**

საქართველოს ღირსეული მოქალაქის აღზრდაში სკოლას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება. ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები ყალიბდება ოჯახში, სკოლასა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში, მაგრამ ყველაზე უფრო სისტემურად, თანმიმდევრულად და სიღრმისეულად მათი ჩამოყალიბება სკოლაში შეიძლება.

ძირითადი კითხვა, რომელზეც აღზრდის კონცეფციამ უნდა გასცეს პასუხი არის: **ვისი აღზრდა გვსურს?**

საქართველოში აღზრდის ტრადიციები და კულტურა ყოველთვის არსებობდა. აღზრდის კონცეფციის ჩამოყალიბების დროს აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება.

აღზრდის მიზნები და ამოცანები:

- პიროვნული კულტურა;
- საქართველოს ღირსეული, კომპეტენტური, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდა;
- სოციალური კულტურა;
- ოჯახური ტრადიციები და კულტურა.

ზნეობრივი განვითარება:

ზნეობრივი განვითარება წარმოადგენს პიროვნების მორალური ნორმების, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების, ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურაზე დაფუძნებული ჰუმანისტური პრინციპების ჩამოყალიბების პროცესს. ფასეულობები, რომლებსაც ექცევა ყურადღება აღზრდის კონცეფციაში:

გაკვეთილი II კლასში

- პატრიოტიზმი;
- სოციალური თანასწორობა და სოლიდარობა;
- მოქალაქეობრიობა;
- ტრადიციები;
- ოჯახი;
- შრომა და შემოქმედება;
- ბუნება და ხელოვნება;
- კაცობრიობა.

აღმზრდელობითი მუშაობის სისტემა:

- საგაკვეთილო პროცესი;
- კლასგარეშე საქმიანობა (კლასის მუშაობა);
- სასკოლო აღმზრდელობითი საქმიანობა;
- ოჯახური აღზრდა;
- კულტურული, ტრადიციული და რელიგიური ფასეულობები.

აღმზრდელობითი მუშაობის მართვა და მონიტორინგი:

მოსწავლეთა აღზრდისა და სოციოლიზაციის პროცესის მართვა და მონიტორინგი ხდება ზოგადი განათლების სახელმწიფო აღმზრდელობითი სტანდარტის დებულებათა შესაბამისად.

სახელმწიფო განათლებისა და აღზრდის სისტემის პრიორიტეტი უნდა იყოს ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება, ცალკეული კუთხეების ტრადი-ციების კუთხური თავისებურებების გათვალისწინებით.

სკოლა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც დაწესებულება, სადაც ცოდნა უნდა მიიღოს მოზარდმა, არამედ როგორც უმთავრესი სოციალური ინსტიტუტი, სადაც ხდება ადამიანის განვითარება.

აღზრდა არ არის ცალკეული საგანი ან ღონისძიება, აღზრდას ემსახურება სკოლა მთლიანად.

სკოლისა და საზოგადოების ურთიერთობა მოსწავლეთა ზნეობრივ და სულიერ აღზრდაში არ ნიშნავს სამოქალაქო ინსტიტუტების ჩარევას სკოლის ცხოვრებაში, ეს არის სკოლის ურთიერთობა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამოქალაქო ინსტიტუტებთან, ამასთანავე სკოლის მართვა ეროვნულ ღონისძიებებში.

მოსწავლეთა აღზრდის, სწავლებისა და სოციალიზაციის პირობები:

- ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები;
- კულტურულ-აღმზრდელობითი გარემო;
- ეკოლოგიურ-აღმზრდელობითი გარემო;
- ესთეტიკური გარემო;
- სკოლის მუშაობა ოჯახთან;
- დამატებითი განათლება;
- სასწავლო, კლასგარეშე და სასკოლო საქმიანობის ინტეგრაცია;
- მოსწავლეთა აღზრდის, სოციალიზაციის პროგრამების მიმართულება პიროვნული, ოჯახური, სასკოლო ცხოვრების პრობლემებზე, აგრეთვე, თემის, ქალაქისა და ზოგადად ქვეყნის პრობლემებზე.

საერო სკოლა "**დეა**" ახორციელებს სკოლის მისიას, რომელშიც ფუნდამენტური ცოდნის მიღებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის ზნეობრივ აღზრდას. სკოლაში შემუშავებულია კლასგარეშე მუშაობის მთელი სისტემა, რომელიც მოსწავლეებს უვითარებს საქართველოსადმი სიყვარულს, ეთიკის ნორმებს, აქცევს ყურადღებას იმ ტრადიციულ ფასეულობებს, რომლებიც ოდითგანვე იყო დამახასიათებელი ჩვენი ერის, საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის. სკოლაში სუფევს კეთილგანწყობის გარემო, მოსწავლეები და მასწავლებლები ურთიერთპატივისცემით არიან განწყობილნი. სკოლაში არ გვხვდება არც ერთი შემთხვევა, როდესაც ხდება მოსწავლის დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა. ამავე დროს სკოლაში ისეთი გარემოა, რომ ნებისმიერი მოსწავლე გრძნობს, აქ არ შეიძლება მასწავლებლის მიმართ უდიერად მოქცევა.

ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ მასწავლებლები სკოლაში სიხარულით მოდიან, ისევე, როგორც მოსწავლეები. სკოლაში სულ 29 მასწავლებელი მუშაობს, მათ შორის 8 სერტიფიცირებული მასწავლებელია. ყველა არის მაღალკვალიფიციური პედაგოგი, ადამიანები, რომლებსაც უყვართ სკოლა, უყვართ მოსწავლე, უყვართ საქმე, რომელსაც ემსახურებიან.

სკოლა საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს.

ჩვენ ვასწავლით არა მარტო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს, სკოლას აქვს შემუშავებული საკუთარი პროგრამა მოსწავლეთა კრეატიულ აზროვნებასა და ლოგიკაში. პროგრამის შემუშავებას დიდი დრო მოვანდომეთ, რადგან არა ერთი კონსულტაცია გავიარეთ ფსიქოლოგებთან, ექიმებთან, პედაგოგებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა პროგრამის შემუშავება. პროგრამაში გათვალისწინებული საკითხები მოსწავლის განვითარებაზეა მიმართული. პროგრამა შედგენილია I-VI კლასებისათვის. სკოლაში პროგრამამ უკვე გაიარა პილოტირება და ძალზე კარგი შედეგები მივიღეთ.

სკოლაში უდიდესი ყურადღება ექცევა წიგნიერებას. თითოეული კლასისათვის შედგენილია აუცილებელი წასაკითხი ლიტერატურის სია, რომელსაც ყურადღებას აქცევს კლასში შემავალი ქართული ენის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლის დევიზია **"აღვზარდოთ განათლებული, წიგნიერი, წარმატებული თაობა!"**

ჩვენ შეგნებული გვაქვს ილიას შეგონება **"უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა".**

წლების განმავლობაში სკოლაში არსებობს "წიგნის მოყვარულთა კლუბი".

სკოლის დირექტორი,
ვერა ყურულაშვილი

გაკვეთილი IX კლასში

მასწავლებლების მოლოდინები

გამოცდილება და სიახლე — ყველას!

როგორც ვიცით, საკლასო გარემოს სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის მიმართ მასწავლებლის მოლოდინებს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოლოდინმა, შესაძლოა, სხვადასხვანაირად იმოქმედოს თავად მოსწავლეზე. მასწავლებლები თავიანთ მოლოდინს მოსწავლეების შესახებ სიტყვიერად გამოხატავენ. როგორც წესი, დროის სიმცირის გამო მასწავლებელი უფრო დიდ ყურადღებას უთმობს იმ მოსწავლეებს, რომელთა მიმართაც მეტი მოლოდინი აქვს და შესაბამისად, ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ იმ მოსწავლეებს, რომელთა მიმართაც ნაკლები მოლოდინი გვაქვს და უფრო ხშირად ვაკრიტიკებთ კიდეც მათ, ვიდრე ვაქებთ. იშვიათად და ნაკლებად ვუსვამთ მათ კითხვებს და პასუხის გასაცემადაც ნაკლებ დროს ვუტოვებთ. შედეგად, კლასისა და მოსწავლის მიერ ხდება ამ მოლოდინის გათავისება და აღიარება.

მასწავლებლის უარყოფით მოლოდინს, შესაძლოა მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს შეიძლება, წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობა ჰქონდეს ამა თუ იმ მოსწავლის მიმართ, **ის მუდმივად უნდა ეცადოს, დაძლიოს სუბიქტურობა და მოძებნოს ასეთი პრობლემებისაგან გამოსავალი გზები.** მთავარია გვახსოვდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უნარი და მოსწავლეებმა ეს დამოკიდებულება მასწავლებლისაგან უნდა იგრძნონ; ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს კითხვაზე პასუხის გაცემისა და დისკუსიაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; ვფიქრობ, დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, თუ რა პრინციპით ვახდენთ მოსწავლეთა წახალისებას და დასჯას, მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას ბუნებრივია ობიექტური კრიტერიუმებისა და სათანადოდ შერჩეული შეფასების სქემების გამოყენება.

ყველამ ვიცით, რაც არის შეფასების სქემა. შეფასების სქემა არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის აკადემიური მოსწრება. არსებობს სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების შეფასების სქემები. მასწავლებელი ქმნის და იყენებს მათ იმისდა მიხედვით, რას ისახავს მიზნად კონკრეტული შეფასება. განასხვავებენ ანალიტიკურ, ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს. როგორც ვიცით, შეფასების სქემის შექმნა გაკვეთილის სასწავლო მიზანზეა დამოკიდებული. გამოცდილების გაზიარების მიზნით, გთავაზობთ შეფასების სქემის 5 დონიან ჩემეულ ვარიანტს.

 შეფასების სქემა ინგლისური ენის გაკვეთილისათვის (მაკმილანი — დონე 3)

შედეგები	სუსტი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
უგხ.დIII.23-30 ორგანიზებულობა, დავალების შესრულება, ჩართულობა, მოსწავლეებთან და მასწავლებელთან თანამშრომლობა	არ ასრულებს დავალებებს, არ თანამშრომლობს და არა არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში.	იშვიათად ასრულებს დავალებებს ან თანამშრომლობს და ასევე იძულებით ერთვება საგაკვეთილო პროცესში.	იშვიათად თანამშრომლობს და დრო და დრო ერთვება საგაკვეთილო პროცესში, შეუძლია თანამშრომლობა, მაგრამ ასრულებს დავალებებს არასრულად და შეცდომებით.	სისტემატურად თანამშრომლობს და ერთვება საგაკვეთილო პროცესში, ასრულებს დავალებებს მცირე ხარვეზებით	სისტემატურად ერთვება საგაკვეთილო პროცესში, თანამშრომლობს და ასრულებს დავალებებს უშეცდომოთ ან ძალიან უმნიშვნელო ხარვეზებით.
უგხ.დ III.1-4 მოსმენილი ტექსტებისა და დიალოგების შინაარსის გაგება და სათანადო სტრატეგიების გამოყენება	ვერ ახერხებს, რადგან არ არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში	ძალიან სუსტად ახერხებს, რადგან იშვიათად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში	მოლიანობაში ვერ გაიაზრებს და ვერ ახერხებს დავალებების შესრულებას, რადგან დრო და დრო ერთვება საგაკვ. პროცესში და ხშირად ეფანტება ყურადღება	მცირე ხარვეზებით გაიაზრებს და ასრულებს დავალებებს, შეუძლია სათანადო სტრატეგიების გამოყენება შინაარსის გასაგებად	სწორად გაიაზრებს, შემოქმედებითად და უშეცდომოდ ან ძალიან უმნიშვნელო ხარვეზებით ასრულებს ყველა სახის მოსასმენ დავალებას
უგხ.დ III 5-11 ტექსტის წაკითხვა/გაგება, ინფორმაციის მოძიება,სათანადო სტრატეგიების გამოყენება, ხმამაღალი კითხვა	არ შეუძლია კითხვა და სათანადო ინფორმაციის მოძიება	ვერ ახერხებს კითხვას, ინფორმაციის მოძიებას და შინაარსის გაგებას სათანადოდ	ახერხებს დიდი პაუზებით და უჭირს ხმამაღალი კითხვა, ძლივს ახერხებს სათანადო ინფორმაციის მოძიებას და მთლიანობაში შინაარსის გაგებას	შეუძლია ტექსტის შინაარსის გაგება, ინფორმაციის მოძიება და ხმამაღალი კითხვა, მაგრამ ხარვეზებით	შეუძლია ტექსტის შინაარსის გაგება, ინფორმაციის მოძიება და ხმამაღალი კითხვა უხარვეზოდ ან ძალიან უმნიშვნელო ხარვეზებით
უგხ.დ. III 12-15 წერის სათანადო სტრატეგიებისა და ელემენტ.ენობრივი უნარ-ჩვევების გამოყენება, ტექსტის სტრუქტურის დაცვა, მიკროტექსტების შედგენა	ვინაიდან არ აქვს ელემენტარული ენობრივი უნარჩვევები, არ ფლობს წერის სტრატეგიებს და არ შეუძლია მიკროტექსტების შედგენა	ვინაიდან ძალიან სუსტად ფლობს ენობრივ უნარ-ჩვევებს და წერის სტრატეგიებს არ შეუძლია მიკროტექსტების შედგენა	ფლობს ენობრივ უნარ-ჩვევებს საშუალო დონეზე, ახერხებს ტექსტის სტრუქტურის დაცვას და მიკროტექსტის შედგენას დიდი ძალისხმევით და ხარვეზებით	ფლობს ენობრივ უნარ-ჩვევებს საშუალოზე მაღალ დონეზე, შეუძლია ტექსტის სტრუქტურის დაცვა და მიკროტექსტის შედგენა, მაგრამ შიგადაშიგ უშვებს შეცდომებს	ფლობს ენობრივ უნარ-ჩვევებს მაღალ დონეზე, შეუძლია ტექსტის სტრუქტურის დაცვა და მიკროტექსტის შედგენა უხარვეზოდ ან უშვებს ძალიან ძალიან უმნიშვნელო შეცდომებს
უგხ.დ III 16-19 მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, გაბმულად მეტყველება, მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოყენება	არ მონაწილეობს ინტერაქციაში, არ აქვს მეტყველების ათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები	უჭირს ინტერაქციაში მონაწილეობა, რადგან იშვიათად ერთვება საგაკვეთილო პროცესში	ასე თუ ისე ფლობს მეტყველებისათვის აუცილებელ ელემენტარულ უნარ-ჩვევებს, ზოგჯერ მონაწილეობს ინტერაქციაში, ახერხებს გაბმულად მეტყველებას, მაგრამ უშვებს ბევრ შეცდომას	მეტყველებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს ფლობს საშუალოზე მაღალ დონეზე, სისტემატურად მონაწილეობს ინტერაქციაში, შეუძლია გაბმულად მეტყველება, მაგრამ შეცდომებით	სისტემატურად მონაწილეობს ინტერაქციაში, მეტყველებს თითქმის უშეცდომოდ, ძალიან მაღალ დონეზე ფლობს სამეტყველო უნარ-ჩვევებს

მანანა გუმბერიძე,

თბილისის მე-10 საჯარო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი, ათასლარიანი სერთიფიკატის მფლობელი.

თქვენთვის აუცილებლად საჭიროა!

V, VI, VII, VIII და IX კლასის მათემატიკის ტესტების კრებულები, რომლებიც კვალიფიციურ დახმარებას გაუწევენ სკოლის მასწავლებლებს შემაჯამებელი გაკვეთილების მომზადება-ჩატარებაში.

შემაჯამებელი ტესტური დავალებებით ორიგინალურად შედგენილი ეს წიგნები აგრეთვე განკუთვნილია **სკოლების დირექციების, მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის.**

თითოეულ კრებულში მოცემული არჩევები წიგნის სარგებლობის შესახებ, 500-ზე მეტი ტესტი თანამიმდევრულად დალაგებულია სტანდარტით გათვალისწინებული თემებისა და საკითხების მიხედვით, რის გამოც ისინი გამოყენებადია ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს შემთხვევაში.

ამ კრებულებზე მუშაობა დიდ სარგებლობას მოუტანს ელემენტარული მათემატიკით დაინტერესებულ ყველა პირს.

ზემოთ ჩამოთვლილი კრებულების შესაძენად მიმართეთ მისამართზე: **ცოტნე დადიანის ქ. 43.**

ტელ: 599 38 01 10; 592 38 01 10.

შპს "წიგნები დადიანზე"



რეპლიკები და წკიპურტები

ახალგაზრდა კოლეგა, რომელთანაც შეპასუხებას ვაპირებ, მედიასივრცეში კარგად ცნობადი სახე, ნიჭიერი, გაბედული და ნაყოფიერი ჟურნალისტია. ამას წინათ, მისმა სტატიამ საბაბი მომცა, ერთ მწვავე პრობლემაზე მემსჯელა.

ალბათ ბევრს გახსოვთ, კოსიგინის ზეობის ჟამი. მაშინ საბჭოთა კავშირში მოსწავლეებს ოთხი წლის მანძილზე სარგებლობისათვის სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემოდათ. ამ საქმის ორგანიზაციას სასკოლო ბიბლიოთეკები თავს წარმატებით ართმევდნენ. მოსწავლეები წიგნებს უნდა გაფრთხილებოდნენ და სასწავლო წლის ბოლოს, სკოლისთვის უნდა დაებრუნებინათ მომდევნო კლასებისთვის გადასაცემად. თავად კი წინა კლასების გამოყენებულ წიგნებს მიიღებდნენ. დაბრუნებული სახელმძღვანელოს ყდის მესამე გვერდზე მისი მოვლა-პატრონობის მაჩვენებელი ხუთბალიანი ნიშნით ფასდებოდა. ყოველივე ამას მაშინ დიდი პედაგოგიურ-მატერიალური მნიშვნელობა ჰქონდა. ასეა დღესაც: მოზარდები ეჩვევიან წიგნის სიყვარულს, პასუხისმგებლობას, ამავე დროს მათი მშობლები მატერიალურ შეღავათსაც ღებულობენ. თუმცა, ამ წესს ახლდა და დღესაც ახლავს გარკვეული ხარვეზები, უხერხულობა, ზოგჯერ კონფლიქტური სიტუაციაც კი.

რასაც მინდა, ვუზამ, მინდა მოვუვლი, მინდა დავხევო", კიდევ უარესი: "ვინაა თქვენი მათხოვარი, არ გამოვართმევ, თავად ვიყიდი ახალ წიგნებსო". შე გაზულუქებულო მავანო, აბა, დევნილებს და უპოვართ ჰკითხე, რას ფიქრობენ. სამწუხაროდ, ტელევიზიებს არცერთი მადლობის მთქმელი არ გამოუყვანიათ ეკრანზე, არც ბეჭდურ მედიას უსახელებია თავი.

დიდი ხანია ინტერესით ვეცნობი ერუდირებული მეცნიერისა და ჟურნალისტის **მერაბ ჯიბლაძის** სტატიებს და... როგორ გამიკვირდა, როცა გურულების არ იყოს, "ღადაობის" სტილში შეთხზული მისი პატარა წერილი "წიგნები, "კალოშებში" წავიკითხე?! მოსწავლეებისთვის გადაცემული სახელმძღვანელოები თურმე "თითქოს საჩუქარი" ყოფილა, რადგანაც ის თითდაუკარებელი უნდა დააბრუნოს, რადგანაც სამინისტროს "მზაკვრული კანონები" ჰქონიაო. წიგნის მოვლაზე ფიქრით მოსწავლე ფსიქოზში ვარდებაო!!! მშობელს დაზიანებული წიგნისთვის ისეთი ჯარიმის გადახდა მოუწევს, რომ... როგორი „ისეთი?" დარახტული ბედაური უნდა მოიყვანოს? დაზიანების შიშით დასაცავად წიგნს ცელოფანი უნდა შემოაკრასო. შიშის გარეშე არ შემოაკრას? წიგნისთვის ცელოფნების შემოკვრა იმას ჰგავს, ძველად ფეხსაცმელს დამცავ კალოშებში რომ ყოფდნენო. იუმორსა და ირონიას ხომ თავისი ალაგი აქვს: მერედა, რა იყო ამაში ცუდი? ბატონ

ჯერ თქვენ, უმადურობით!

აქვე უნდა ვთქვათ: მაშინ წიგნები მეტად იაფი იყო. აგერ მიდევს ფიცარივით მაგარყდიანი "**ჩვენი საუნჯე**", 1961, ტ. X, 660 გვერდი, ფასი 2 მან. 20 კაპ.; **კონსტანტინე გამსახურდია**, 1961, ტ. V, 974 გვერდი, ფასი 1 მან. 85 კაპ.; ასევე მაგარყდიანი სასკოლო სახელმძღვანელოები: აკად. **გიორგი ჯიბლაძე**, **უახლესი ქართული ლიტერატურა,** XI კლასი, 1956, 360 გვერდი, 85 კაპ.; ალგებრა VI-VII კლასებისთვის, 1956, 400 გვერდი, 70 კაპ. მაშინ ეს სახელმძღვანელოები, კოხტა ჩანთებში ჩაწყობილი, მეტად მსუბუქი იყო და სატარებლად მოხერხებული.

ახლა შევცქერი სკოლისკენ მიმავალ გუდურასავით მძიმე ჩანთააკიდებულ ბავშვებს და მათ ალპინისტებს ვადარებ. 6 წლის პირველკლასელები მძიმე ჩანთას, ნოუთბუქდამატებულს, წელში მოხრილნი მუშა ბოქულაძესავით მიათრევენ. წარსულს შემთხვევით არ ვიხსენებ. ახალი მთავრობა უკვე ორი წელია წინა ხელისუფლებისგან გადმობარებული უთვალავი პრობლემის მოგვარებას შეეჭიდა. ბევრი სიახლე დაამკვიდრა განათლების სამინისტრომ, მათ შორის მეტად გასახარელია მოსწავლეებისთვის უფასოდ სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. ეს ღონისძიება შარშანაც განხორციელდა და წელსაც, რისთვისაც სახელმწიფომ 20 მილიონზე მეტი ლარი გაიღო. და მაშინვე უმადურთა კასტამ უკადრებელი იკადრა. ერთი ქალბატონი ეკრანიდან აწჩხლობდა: თუ დავაბრუნე, ეს რაღა საჩუქარია, წიგნის განათხოვრება გამოდისო. რეპლიკა: თუნდაც განათხოვრება იყოს. დავუშვათ, შენ მავანო, უბინაოს კეთილმა კაცმა სახლი დაგითმო, ქირის გარეშე, ოთხი წელი იცხოვრე და გაუპარტახებელი დამიბრუნეო, მადლობის მაგივრად ლანძღო და პანღური უნდა ამოსცხო? შარშან დიდფულიანთა გაზულუქებული შვილების ასეთი მარგალიტები მომრავლდა: „ნაჩუქარს,

მერაბს არასოდეს შემოუკრავს წიგნისთვის დამცავი ქაღალდი? და თუ შემოუკრავს, მხოლოდ შიშის გამო აკეთებდა ამას? არ დამაჯარიმონო, ლამის შიშით ტუცავდა კალოშებში ფეხსაცმლიან ფეხებს?

ახლა ზემოხსენებულ ახალგაზრდა კოლეგასთან გადავიდეთ. მის წერილში გამოთქმული თითქმის ყველა მოსაზრებას ვეთანხმები, მაშ, რას ვერჩი? რას და: მინისტრის ბრძანება წიგნების განაწილების შესახებ სამარცხვინოა და პრემიერ-მინისტრმა გააუქმოსო. ეს კანონი კაბალურიაო, ხალხის მომტყუებელიაო, მშობლისა და პედაგოგის დანასისხლად გადამკიდებელიაო. განა ისე წვიმს, როგორც ქუხს? სრულაიდ საკმარისი იქნებოდა ასეთი შეფასებები: „საჩოთირო", „უხერხული", „გასასწორებელი", თუნდაც – „კურიოზული". ბავშვმა წიგნის მოვლაზე უნდა იფიქროს თუ სწავლაზეო. ორივეზე უნდა იფიქროს, ჩემო კოლეგავ, კარგი რა! ამ სისტემაში ძლივს გამოჩნდა ნათელი შუქი, კეთილი საქმეები და ისიც არაფრად ჩავაგდოთ? ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ? ხეს თუ სულ უძახე, გახმი, გახმიო, მართლა გახმება. ასეა ეს, ჩემო ახალგაზრდა კოლეგავ!

მკითხველი ვერ ითმენს: ბოლობოლო, გაგვაცანი, ვინაა ის შენი ახალგაზრდა კოლეგაო. ვინ არის და – უაღრესად ერუდირებული, მებრძოლი, ხელხვავიანი ჟურნალისტი გაზეთ "ასავალ-დასავალისა" – **ჯაბა ხუბუა**.

და ბოლოს, ჩემო მკითხველო (ბატონ ჯაბას ეს არცერთი კუთხით არ ეხება): სიკეთის ქმედებაზე ქირქილი, მისი არდანახვა უმადურობაა, ეს უკანასკნელი კი – ცოდვა და უსამართლობა.

ბორის მიშველაძე,
დამსახურებული პედაგოგი

სარეკლამო კუთხე

შეგიძლიათ განათავსოთ:

განცხადებები
მილოცვები
ნეკროლოგები
სხვა ინფორმაცია

პედაგოგის პოეტური პალიტრა

მკითხველი კარგად იცნობს დამსახურებულ პედაგოგს **ტარიელ მუმლაძეს**. იგი ავტორია 50 წიგნისა პროზაში, პოეზიაში, ისტორიულ და მათემატიკურ მეცნიერებაში. ამჯერად გთავაზობთ მის სამ ლექსს.

ენა ქართული

გაზაფხულის აისია,
დღეს მეგობრებს გავუვლი.
ოცდაექვსი მაისია,
დიდი დღესასწაული.

პოეზიამ გააგრძელოს
სიტყვა, როგორც წესია,
ყური უგდეთ სადღეგრძელოს,
დღეს თამადად ლექსია.

კვლავაც შევთხოვ მფარველ ზენას,
სართულს მოჰყვეს სართული!
მსოფლიოში პირველ ენად
არის ენა ქართული!

ჩემს პირველ მასწავლებელს

ჩემი ოცნების უშრეტო წყარო
და დედასავით დამყვავებელო,
შენს ნაბოძვარ გზას მივდევ და ვხარობ,
ჩემო პირველო მასწავლებელო.

ბავშვებზე ფიქრით ათევდი ღამეს,
ქვეყნის მომავლის გზების მძებნელო,
ჩემგან ცელქობა თუ გახსოვს რამე,
ვიცი, შემინდობ მასწავლებელო.

ვერ გავარღვევდით სივრცეს ჩაკეტილს
და რომ არა შენ! მძლეთა მძლეველო...
რა დამავიწყებს პირველ გაკვეთილს,
შენ რომ უძღოდი მასწავლებელო.

არ მეშინია წელთა ათვლისა,
მაინც ერთად ვართ, — იმედის მცველო,
მომყვება შუქი მე იმ სანთლისა,
შენ რომ ამინთე მასწავლებელო.

რომელია დღეს სარწმუნო?

ჩვენ რომ ვამბობთ საქართველო,
ამ თქმას სხვა რით ჯობია:
გურჯისტანი, გეორგია,
გრუზია თუ ჯორჯია?

ან იქნებ თქვან ვრასტანია,
მეშინია გამხელის,
იქნებ ჯობდეს დაუტოვონ
ბუნებრივი სახელი.

რომელია დღეს სარწმუნო,
გასატანი ლელოა!
დე, ნურავის შეეშლება,
ის რომ საქართველოა!

ისინი ასე აზროვნებდნენ

ბედნიერება არის მირაჟი,
უბედურება კი – რეალობა.
გალაკტიონ ტაბიძე

ცხოვრება ჩვენი სცენაა,
სიცოცხლე – დეკორაცია.
ტერენტი გრანელი

მზე ყველა ადამიანშია, ოღონდ
მიეცით საშუალება გაანათოს.
სოკრატე

სიცოცხლე სევდაა, ადამიანად
ყოფნის ტკბილი სევდაა...
სიკვდილიც სევდაა, ადამიანად
არყოფნის სევდა...
გოდერძი ჩოხელი

თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.
ვაჟაფშაველა

მიზანი ყოველი ბრძოლისა – გამარჯვებაა.
იოსებ სტალინი

მაგალითის გარეშე ვერაფერს შეისწავლი.
იან ამოს კომენსკი

უზომოდ პატარა ადამიანებს
უზომოდ დიდი სიამაყე ახასიათებთ.
ვოლტერი

ადამიანი ანგელოზსა და
ცხოველს შორის გადებული ხიდია.
ფრიდრიხ ნიცშე

სიყვარული ნიშნავს ცოცხლობდე
იმის სიცოცხლით, ვინც გიყვარს.
ლევ ტოლსტოი

შეკრიბა **რომან მოსეშვილმა**

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№ 1 (4498)
1 ოქტომბერი, 2014 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (+995 32) 2 99 80 00

ISSN 1987-9113